პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის ორგანო

KOMUNISTI ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

ხუთშაბათი, 28 ივნისი, 1951 წ. № 150 (9004). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მომჭირნეობა და ყაირათიანობა ახალ წარმატებათა საფუძველია — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ლენქორანელი მეჩაიეები მახარაძეში (1-ლი გვერდი).

მოსკოვში უკრაინული ხელოვნების და ლიტერატურის დეკადის საბოლოო საღამო (1-ლი გვერდი).

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ბიგბანტი (3ე-2 გვერდი).

საქართველოს ფიზიოლოგთა უქინიშვნელოვანესი ამოცანები (3ე-3 გვერდი).

გ. ფირცხალავა — ახალი ცხოვრების გულმოდგინე მოამღერალი (3ე-3 გვერდი).

თბილისის მშრომელთა დიასუტატების საქალაქო საბჭოს [illegible] (3ე-3 გვერდი).

კოკეის ამბები (3ე-4 გვერდი).

მიტინგი სოფიაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სხდომის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით (3ე-4 გვერდი).

მომჭირნეობა და ყაირათიანობა ახალ წარმატებათა საფუძველია

ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში დაგროვილი სახსრები შეადგენს, ხოლო მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები მხოლოდ მინიმალურ თანხას — სულ 5 პროცენტზე ნაკლებს ტოდნის. აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილის წარმატებით შესრულებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გამართულ მუშაობას.

მაშინ როცა იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობები თვეულ და ასეულ მილიარდებს ახმარენ გასაღერებ შეიარაღებას, ანალი მსოფლიო ომის მომზადებას, საბჭოთა მთავრობა უდიდეს სახსრებს ხარჯავს კომუნიზმის მშენებლობისათვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის სამემოსაღო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩვენ მრავალი სამუშაოები მოგვეთვება. ამ საშუალებებში უმთავრესია: პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; წარმოების ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, საწარმოებში არსებული ძვლური ტექნიკის უკეთ გამოყენება; ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა; საქმეთანო ბარისხის პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდება; წარმოების რენტაბელობის ამაღლება. ბიუჯეტის სამემოსაღო ნაწილის წარმატებით შესრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა აგრეთვე მშენებლობის გაიაფება, საკოხლებრივის გეგმების შესრულება, ავტონისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის, საქმეთანოს ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში სერიოზულ წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი სარეწველო საწარმოები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის კაბელ-მაუდის ფაბრიკის კოლექტივის ძალდაყოფილი მუშაობა. შარშან ამ ფაბრიკაში მასალა დანაზოგი ნედლეულით მიღებული ათასი ტონით მაღალხარისხოვანი ქსოვილის გამოუშვეს და ამ გზით საგრძნობლად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. ნედლეულსა და მასალების მომჭირნეობის, დანგა-დანაღვარების სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის ბრძოლაში ფეიქრები წელსაც მთელი ენერგიით განაგრძობენ და დიდ წარმატებებსაც აღწევენ.

ტექნიკის უკეთ გამოყენების, მასალების ეკონომიურობისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ფრიად სერიოზულ მუშაობას ეწევიან ქიმიური მაღაროელები, ტყეკაზეული მეშახტეები, ზესტაფონელი მეტალურგები, თბილისელი ფოლადმუშავებლები, ბათუმელი ნავთობგადამმუშავებლები, ქუთაისელი მკერავები და რესპუბლიკის ათობით სხვა საწარმოს კოლექტივი.

მიუხედავად ამისა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ყველა საწარმოში ერთნაირი მონდომებით როდი მუშაობენ. მაგალითად, თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში, თბილისის ქირა-პეტკლინის ცემენტის ქარხანაში პირველი კვარტალი ზარალით დამთავრა. ანალოგიური მდგომარეობა ზოგიერთ სხვა საწარმოშიც არის. პროდუქციის თვითღირებულების გეგმით გათვალისწინებულ შემცირებას ისიც უშლის ხელს, რომ ზოგიერთ საწარმოში გეგმას ასორტიმენტის მიხედვით ვერ ასრულებენ და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებით სურთ დაფარონ თავიანთი ცუდი მუშაობა. ასეთ საწარმოთა რიცხვშია თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი დაბალხარისხოვანი და წუნდებული პროდუქციის გამოშვება. ამ მხრივ დამახასიათებელია რუსთავის ლეიკ ზოგიერთი საქვეყნელო და ფეხსაცმლის ფაბრიკის, სარეწო და ინვალიდთა კოოპერაციის მთელი რიგი არტელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. წუნდებული და დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება ზრდის თვითღირებულებას, ფეიქრის საეჭვო ორგანიზაციის მიერ საცალო სავაჭრო-ბრუნვის გეგმების შესრულებას. ეს კი თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის სამემოსაღო ნაწილის შესრულებაზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშენებელმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს მუშაობა, განსაროციელეს მშენებლობის ჩქაროსნული მეთოდები, უკეთ იყენებენ სამშენებლო ობიექტებზე არსებულ ძვლური მექანიზმებს. ამ მიმართულებით სერიოზული წარმატებებით მოიპოვეს ტრესტ „თბილისმშენის", სამპორტყალმშენის, კოლხიდმშენის, საპრომეთის ჰიდროენერგომშენებლობათა ტრესტის კოლექტივებმა. ისინი მოლე გადებში და მაღალხარისხოვნად აშენებენ მთელ რიგ რთულ ობიექტებს.

ამ წარმატებათა მიუხედავად, ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია კვლავ არადამაკმაყოფილებლად განაგრძობს მუშაობას. მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გადასახადი-დასახლების სამმართველოს სამშენებლო ტრესტმა შარშან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 36,1 პროცენტით შეასრულა, დიდი გადასახდელები და დანაკარგების შედეგად გასული სამეურნეო წელი 6 მილიონზე მეტი მანეთი ზარალით დაამთავრა.

ჯერ კიდევ ყველაზე რიდია აღმოფხვრილი ავტონისტრაციულ-სამმართველო ხარჯების არადანიშნულებისამებრ გამოყენების, გაფლანგვა-დატაცების, სახალხო დოყლათისადმი უყურადღებო მოპყრობის ფაქტები.

სოციალიზმის ქვეყნისათვის ასეთი შეუწყნარებელი მოვლენების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა უნდა გაძლიერდეს. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ,

„როცა ჩვენი საკუთარი დაგროვებულ სახსრებით ვქმნით და ხელმისაწვდომი ხდება ეიუთი დაგროვებული სახსრების ხარჯვის საქმეში, ცდილობდეთ თვითეული კაპიკის მოთავსებას გონივრულად, ე. ი. ისეთ საქმეში, რომლის განვითარებაც ყოველ განსაზღვრულ მომენტში აბსოლუტურად საჭიროა".

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული მშენებლობის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემოგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების ინტერესები გვაკარნახებს მოიშორნებასა და ყალბათანობას, თვითეული საბჭოთა მანთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, მთელი რეზერვების მობილიზაციას სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

შეჯიბრების პირველი შედეგები

ვანი. (სპეც. კორ.). საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის გაჯანთაობისთვის ბეკეთად მუშაობენ სოფელ ციხესულოსის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. ზოოევტერნიკრული წესების ზუსტად განხორციელებით წლიური გეგმა უკვე შესრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 420 სულისა 435 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი ჰყავთ.

სომხეთის სსრ მეცხოველეთა მოწინავეების პასუხად კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაუთანაგად ვუკითხეთ იმისათვის, რომ თვითეულ საფურაზე ძროხაზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 ლიტრისა ამაშენეს ორი ათასი ლიტრი რძე.

კოლმეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს პირტყვის ახალი სადგომების მშენებლობას. პროდუქტიული პირტყვისა და მუშა-საპონლისათვის უკვე აშენეს ორი სადგომი. გათვალისწინებული წელს აშენდეს ახალი ბოსელი, რომელიც 120 ძროხას დაიტევს და სალორე 40 სულისათვის. წელსვე დამთავრდება მეცხოველეობის ფერმების ელექტროფიკაცია. სოფელ დიხაშენის ჩხუბიანშვილის სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების გზით ორ თვეში დაიტანა

საქართველოს ახალი ინდუსტრიული სიამაყე

საინტერესო ციფრები

გორის ბამბეულის კომბინატი დიდმნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის. ეს კომბინატი სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იქნება. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართლის ცენტრალური რაიონების ინდუსტრიალიზაციისათვის.

კომბინატის პირველი რიგის საწარმოთა სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ქვეყანას გორელი ფეიქრებისაგან მიიღებს ყოველწლიურად 17.510.000 მეტრ სხვადასხვა ქსოვილს. ასორტიმენტის მიხედვით ქსოველთა გამოშვება განსაზღვრულია შემდეგი რაოდენობით:

მარკიზეტის ქსოვილი კომბინატმა უნდა მოგვცეს ყოველწლიურად 4.340 ათასი მეტრის რაოდენობით, ველა-კრეპი—3.700 ათასი მეტრი, სატინ-ფაინნი—1.020 ათასი მეტრი, ბატისტი—2.360 ათასი მეტრი, ნანსუკი—2.250 ათასი მეტრი და ხოლიანი ზეფირი—3.840 ათასი მეტრი.

ხაამისოდ კომბინატმა ყოველწლიურად უნდა გადაამუშაოს 1.653 ტონა გრძელბოჭკოიანი ბამბა და დაამზადოს 1.191 ტონა უფაქიზესი ნართი.

მანქანა-დანადგართა პარკი

გორის ბამბეულის კომბინატს მანქანა-დანადგართა უდიდესი პარკი ექნება. მარტო პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებისას კომბინატის ფაბრიკებსა და განყოფილებებში გამართული იქნება: 85.000-თითისტარიანი 175 სართავი მანქანა, 26.112-თითისტარიანი ძაფსაკრეხი დანადგარები და 1.440 ცალი ავტომატური საქსოვი მანქანა-დაზგა.

გარდა ამისა, კომბინატში იქნება ძაფსახვევი, საქსელე, საჩეჩი, სავარცხნი, საარშიე, საფთილე, სახამებელი, ძაფსასქვნელი და მრავალი სხვა დანიშნულების დანადგარები.

ამ მანქანების საშუალებით კომბინატი ყოველდღიურად გამოუშვებს 1.694 ბარდანა მზა ქსოვილს.

მშენებლები წარმატებით მუშაობენ

საქართველოს ქ. პ. (ბ) XIV ყრილობამ გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობა მითითება მოგვცა, რომ საქონია ფართოდ გაეშალათ მუშაობა სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის ხაზით და პარალელურად სწრაფი ტემპით ეაშენოთ მედმიეი საცხოვრებელი სახლები კომბინატის მუშებისა და სპეციალისტებისათვის.

მშენებელთა კოლექტივის საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მითითება წარმატებით სრულდება.

1949 წლიდანვე კომბინატის საწარმოო კორპუსების მშენებლობასთან ერთად დიდი წარმატებით გაჩაღდა მუშაობა ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი უბნის მშენებლობაც. მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები უკვე ჩასახლდნენ 17 აწლადგაბენულ ერთსართულიან სახლში და 3 ორსართულიან სახლში. ამჟამად მთავრდება 2.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი სახლების მშენებლობა, ხოლო სულ ამ უბანში აიგება 6 სამსართულიანი, 35 ორსართულიანი და 129 ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

რაც დრო გადის, მშენებლები თანდათან აუმჯობესებენ მუშაობის ხარისხს, ზედმეწევნით ეუფლებიან ჩქარისწყლო მეთოდებს. წელს, მაგალითად, 5 თვის საწარმოო-სამშენებლო გეგმა მშენებლებმა (მშენებლობის უფროსი ინჟინერი ს. ლორთქიფანიძე) 118 პროცენტით შეასრულეს.

კომბინატის მშენებელთა კოლექტივში მაღალკვალიფიციური მუშაობით და ოსტატობით მრავალმა მშენებელმა გამოიჩინა თავი. სტახანოველი დურგალი ქ. შურაკიული გეგმას 145-150 პროცენტით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობენ და კომბინატის მშენებლობა მოწინავე ადამიანებად ვ. ისმაილოვილი, ნ. სეხნაშვილი, ქ. პოლიბენკო და მრავალი სხვა.

მშენებელთა წარმატებას დიდად უწყობს ხელს რაციონალიზატორული მუშაობის გაშლა და მუშა-გამომგონებლობა და რაციონალიზატორთა ჯახალისება. ამ მხრივ კომბინატის მშენებლობამ დიდი გამოცდილება შეიძინეს. მარტო შარშან მათ მშენებლობას 438.000 მანეთი დაეზოგეს. წელსაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს.

მომავალი წლიდან მშენებელთა კოლექტივი შეუდგება კომბინატის მეორე რიგის საწარმოთა მშენებლობას. ჩვენ უნდა ავაგოთ მთავარი კორპუსი, რომელიც ახლახან აშენებენ მთავარ საწარმოო კორპუსზე ერთი ნახევარრკვრ მეტი იქნება. ამასთანავე უნდა ავაგოთ სხვა საწარმოო კორპუსები და თითქმის ერთიორად გავაფართოოთ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი უბანი.

1951 წლის ბოლომდე უნდა შევასრულოთ იმაზე თითქმის ერთიორად მეტი მოცულობის სამუშაო, რაც 1950 წელს, ხოლო მომავალ წელს, ცხადია, უფრო მეტი სამუშაოთა შესრულება მოგვიხდება, ვიდრე წელს.

გორის ბამბეულის კომბინატის მშენებელთა კოლექტივი ენერგიას არ დაზოგავს, რათა პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

ვ. კერესელიძე

მშენებლობის უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი

საფაბრიკო წყალსადენი

დიდი რაოდენობით სჭირდებათ გორელ ფეიქრებს წყალი, უმთავრესად ტექნოლოგიური საჭიროებისათვის. მარტო პირველი რიგის სიმძლავრეთა ათვისების შემდეგ ყოველ დღეიმეში კომბინატისათვის საჭირო იქნება 3.450 კუბმეტრი წყალი.

წყლის ასეთი რაოდენობით კომბინატის დასაკმაყოფილებლად დაწყებულია ახალი წყალსადენის გაშოყვანა. იმის გამო, რომ ახლახან გადაწყდა კომბინატის მეორე რიგის მშენებლობის დაწყება, ამ წყალსადენსაც ათასობითეულ იმ ვაი-უდით, რომ მან ერთხანამად მეტი წყალი მიაწოდოს კომბინატს.

ახალი წყალსადენი მთლიანად დაამაყოფილებს კომბინატის საცხოვრებელი უბნის მრავალათასიანი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც.

გორის ბამბეულის ქსოვილთა კომბინატის სართავი ფაბრიკის სამჩრ. სექციაში: ოსტატის თანაშემწე გ. ჩიხლაძე დაეხმარება ახალგაზრდა მრთველ ნინო არბოლიშვილს. ფოტო ვლ. გიშბერტისა

რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის გიგანტი

საქართველოს საფეიქრო მრეწველობა მრავალგვარ ძვირფას ქსოვილებს გვაძლევს. აბრეშუმის, ხელოვნური აბრეშუმის, მატდის, კამკოლის დიდძალი ასორტიმენტის სატყეთესო ქსოვილებს იძლევიან ჩვენი ფეიქრები. მაგრამ დღედაღე ჩვენს საფეიქრო მრეწველობას არ შეეძლო მოეცა ბამბის ქსოვილები—დაჩითული და დაუჩითავი სხვადასხვა ფერისა, ბატისტი, ზეფირი, სატინი და ა. შ. ეს იმით აიხსნებოდა, რომ საქართველოში არ არსებობდა ბამბეულის ქსოვილთა საწარმო.

იმისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში გორში დაიწყო ბამბის ქსოვილთა კომბინატის მშენებლობა, რომლის შესახებ გვინდა მოვუთხროთ მკითხველს ამ წერილში.

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან

გორის ბამბეულის კომბინატის ასაგებად შესანიშნავი ადგილია შერჩეული. ეს ადგილი, რომელსაც ამ სამიოდე წლის წინათ ტინისხიდის ქალას ეძახდნენ, ხოლო ახლა ბამბეულის კომბინატის უბანს ეწოდებენ, მოთავსებულია მდინარეების მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. კომბინატის საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების ტერიტორია და ლიახვის შესართავთან. კომბინატის საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების ტერიტორია და მუშათა საცხოვრებელი უბნებისათვის გამოყოფილია სავსებით საკმარისი ტერიტორია.

ტერიტორიის ერთი ნაწილი მთლიანად აქვს დათმობილი კომბინატის საწარმოებს. საწარმოთა ეს უბანი შეორე უბნისაგან, სადაც მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ცხოვრობენ, გამოყოფილი იქნება მწვანე ნარგავთა ზოლით.

საცხოვრებელ უბნად შემოფარგლულია 48 ჰექტარი ფართობი. აქ გაშენებულია და ამჟამადაც შენდება მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი კეთილმოწყობილი ბინები, სამავშვო ბაგები, ბაღები, სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები.

გორის ბამბეულის კომბინატი სამი ძირითადი საწარმოსაგან შედგება. ეს საწარმოებია: სართავი ფაბრიკა, საქსოვი ფაბრიკა და სამღებრო-საპარტო ფაბრიკა.

კომბინატმა, პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ყოველწლიურად უნდა გამოუშვას სულ ცოტა 17.510.000 მეტრი წმინდა და ნახევარ ბამბის ქსოვილი.

კომბინატში სულ გამართული იქნება 5.000-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების საფეიქრო დანადგარი, მათ შორის 1.400-ზე მეტი ეახლესა კონსტრუქციის ავტომატური საქსოვი დაზგა, ძაფსართავეი დანადგარები, რომელთაც ექნებათ 85.000 სართავი თითისტარი, ძაფსაკრეხი დანადგარები ექნებათ, და მრავალი სხვა მანქანა და მოწყობილობა.

მთელი ეს მანქანა-დანადგარები დამზადებულია საბჭოთა საწარმოებში და მიღებულია ქარხნებიდან ეფექტურად, ეკონომიურად და ეკალიფიციის ასაბალდებულად. ჩამოყალიბები ტექნიკური მნიშვნელობის წერები და შემოვიდეთ მუშათა სწავლება როგორც ბრიგადულად, ისე ინდივიდუალურად.

კადრები, რომლებმაც აითვისეს ტექნიკა

გორის ბამბეულის კომბინატში სამუშაოდ კადრების მოსამზადებლად ბრიგადა ბრიგადა დაიწყო, როგორც კი მშენებლობა გაიხალა. ქარხნის მთელი რიგი რაიონებიდან, ბერეთის რესპუბლიკის მრავალი სხვა რაიონებიდან ახალგაზრდობა ჯგუფები გაგზავნილი იყვნენ რესპუბლიკის სხვადასხვა საფეიქრო საწარმოებში მოსამზადებლად, ხოლო საშუალო განათლებამიღებული ის ახალგაზრდები, რომლებსაც საფეიქრო საქმის შესწავლა სურდათ, გაიგზავნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტებში. მრავალმა ჯოჯობა უკვე მიიღო უმაღლესი ტექნიკური განათლება, ინჟინერ-ფეიქრის წოდება. ისინი ყველანი ამჟამად გორში არიან და კომბინატის სხვადასხვა საამქროს ხელმძღვანელობენ. მაგალითად ქ. მოშველიანი, ნ. ონაიშვილი, ვ. ხინჩიყაშვილი საამქროების უფროსები არიან. ზ. ყიფიანი, შ. კვიტაშვილი, ზ. გახუტიშვილი და სხვები ცვლის უფროსებად მუშაობენ. გ. კოპიხიშვილი, ქ. ლაცაბიძე მანქანათა შეკეთების ხელმძღვანელობენ, ო. ბიბილეიშვილი კალკულის განყოფილების ხელმძღვანელობს და ა. შ.

ოსტატებად და ოსტატთა თანაშემწეებად მომზადებულთა დიდი ნაწილი დაბრუნდა და წარმატებით მუშაობს კომბინატის მოქმედ საამქროებში. განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდები ზ. ტლაშაძე, ქ. ხახნაშილი, ი. ნონიაშვილი, ნ. ლოთიშვილი, ს. ხაბულავაშვილი, ს. ყახარაშვილი, მ. ჩაგანაშვილი, ი. წოქორაძე, გ. ჭილლაძე და სხვები, რომლებმაც მოწონება ოსტატთა თანაშემწეის სახელი დაიმსახურეს.

ოსტატებისა და მათი თანაშემწეების მომზადებასთან ერთად კომბინატის საწარმოებში მუშაობის დასაწყებად წარმატებით ემზადებიდნენ ახალგაზრდა მუშათა ჯგუფებიც, რომლებიც სათანადო პროფესიების შესასწავლად თბილისში იყვნენ გაგზავნილი. მათგან მეტიეთ მაღალკვალიფიციური მრთველები, მბეჭდავები, მეფითილეები. ბევრმა მათგანმა უკვე ისახელა თავი მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით და პრიველხარისხიანი პროდუქციის გამოშვებით. მაგალითად, მეფთილეებმა ნაზიკო ხარებაშვილმა, ქ. ბაზიაშვილმა, მერი მარიდაშვილმა და მაყვალა გოგოლაშვილმა თავიანთი გადაჭარბებული ნორმები ერთ დღე-ღამეში 130-170 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მაისში თვითონ. დავალების 150 პროცენტით შეასრულა, ეკვენია სამადაოაშვილმა — 145 პროცენტით და ა. შ.

მეორე რიგის სამუშაოები

თვალსაჩინოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გორის ბამბეულის ქსოველთა კომბინატის საწარმოო სიმძლავრე განსაზღვრული იყო წელიწადში 17,5 მილიონი მეტრი ქსოველების გამოსაშვებად. ამ სიმძლავრისათვის მშენებლობა უკვე მთავრდება და კომბინატის საწარმოებიც თანდათან დგებიან მოქმედ საწარმოთა მწყობრში.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გადაწყვიტა აქვე დაწყოს კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

ეს მშენებლობა ისეთი მასშტაბით არის გათვალისწინებული, რომ კომბინატის სიმძლავრე ორნახევარჯერ გაზრდება. მარტო მეორე რიგის საწარმოებში გაიმართება 100.000 სართავი თითისტარი, დამონტაჟდება 1.500 საქსოვი დაზგა.

სიმძლავრის ასე გადიდებასთან ერთად შემდგომში, როდესაც მეორე რიგის სამუშაოები დამთავრდება, კომბინატი გაფართოვდეს პროდუქციის ასორტიმენტსაც. გამოუშვებს სამი ათტიპიანი ტანსაცმლეულის ქსოველს, ეგრეთწოდებულ „ტოფტას“ ქსოველს, რომელიც ძირითად პროდუქციად ითვლება, ლინონებს, მატკალს, ფლანელებს და ა. შ.

მეორე რიგის მშენებლობის დაპროექტება ახლა ხდება, ხოლო სამშენებლო სამუშაოთა დაწყება გადაწყვეტილია მომავალი წლიდან.

კომბინატის მშენებლობის დამთავრებით გორი საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდება. ამ ქალაქიდან საბჭოთა ქვეყნის მრთველები ყოველწლიურად მიიღებენ 40 მილიონამდე მეტრ სხვადასხვა ასორტიმენტის ფართო მოხმარების ქსოველს.

ამტომ უნდა ეწოდეს გორელებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს — ბამბეულის კომბინატის საქართველოს საფეიქრო მრეწველობის გიგანტის — მარკიზეტის, ვუალ-კრეპის, ბატისტის, ნანსუკის, ეგრეთწოდებულ სატინ-ფაინის, ზოლიან ზეფირის და მრავალი სხვა ასორტიმენტის ქსოველის.

საფეიქრო ტექნიკაში ცნობილია, რომ ბამბის წვინდა და ნაზი ქსოველების დასამზადებლად საჭიროა მეტისმეტად წვინდა და მაღალხარისხოვანი ბამბის ძაფი. გორის კომბინატის საქსოვი ფაბრიკა იმეშვიდეს მხოლოდ 7 სხვადასხვა ძაფით — № 85, 90, 100, 110, 120, 140 და 170 ძაფებით. ეს ნომრები წარმოდგენის გვაძლევენ ძაფის სიმსხოს შესახებ. მაგალითად, № 170 ძაფი ნიშნავს, რომ ამ ნომრის ძაფი, თუ მას 170 მეტრის სიგრძისას დავაწევეთ და აეწონით, გაიმავე 1 გრამი. № 85 ძაფს, აძის შესაბამისად, 1 გრამის წონა უნდა ჰქონდეს 85 მეტრს და ა. შ.

ტექნოლოგიურად ასეთი მაღალი სიხარისხის ძაფების მიღება იოლი საქმე როდია, თუ მრთველი მაღალი კვალიფიკაციისა არ არის და საფუძვლიანად ვერ არის დაეუფლებული მისთვის მიჩენილ დანადგარს.

პირველი მიღწევები

კომბინატის პირველი საწარმო, რომელიც უკვე შეუდგა პროდუქციის გამომეშვებას, არის სართავი ფაბრიკა. მარტოდენ დაწყებული 10 ივნისამდე ამ ფაბრიკის კოლექტივმა 86 ტონა მაღალხარისხოვანი ბამბის ნართი გამოუშვა საფეიქრო მრეწველობისათვის.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მომეშვე სტახანოველებთან ერთად დაეხელავად და თავდადებით მეშაობენ მემონტაჟეები. მომდინარე წლის ბოლომდე მათ საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 35.860 სართავი თითისტარი და 500 საქსოვი დაზგა.

სართავი ფაბრიკის კოლექტივს ამოცანად აქვს დასახული წლის ბოლოსათვის სამრთლის მისცეს 492 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი.

გორელ ფეიქრათა ახალგაზრდა კოლექტივი, რომელსაც საფეიქრო საქმეში კარგად დაუხლტებული სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, იბრძვის იმისთვის, რომ მოეცნიერული დაეალება მწინეველოვანი გადაჭარბებით შესრულოს, გამოუშვას გაეცილებით მეტი ნართი და მეტ სათეურეელ ქსოველი.

როგორც კომბინატის დირექცია, ისე ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ახლა მთავარ ყურადღებას ამას ექცევენ, რომ ამავალ მუშა-ფეიქრებსა ოსტატობა, მათი ხახელოვნება მაღალხარისხოვანი ქსოველების მოცემისა და საამისო ხახეკონომიებიკატების გამხელებისათვის. აღსანიშნავია, რომ თვითონ მეშები, ოსტატთა თანაშემწეები და ოსტატები დიდ მონდომებას და სიმეჯიროს იჩენენ საფეიქრო საქმის სრულყოფილად ათვისებაში. ამიტომაც კომბინატში ახლად მიღებულ მუშათა მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ჩამოყალიბეთ ტექნიკური მინიმუმის წრეები და შემოვიღეთ მუშათა სწავლება როგორც ბრიგადულად, ისე ინდივიდუალურად.

გ. მამუჩაშვილი

გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორი

ახალი სწყრომა, ახალი აღმიანები

არასოდეს არ დაავიწყდება ვახტანგ ხინჩიყაშვილს 1949 წლის ზაფხული, როცა მან მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი დაამთავრა. სად მოეხდება მუშაობა? ეს ფიქრი არ შორდებოდა მას და მის ამხანაგებსაც. მათ რუკაზე აირჩიეს სხვადასხვა ქალაქები, სადაც უნდა ემუშავნათ, მრავალი წინაყრით ეარაუდათ შეიძლებოდა აღეწიოს გული: ახალი საგზური ჩაბარებოდა გორში სამუშაოდ წამოსასვლელად. ეს იყო მაშინ, როცა გორის ბამბეულის კომბინატში სართავი ფაბრიკის მონტაჟი იწყებოდა. ვ. ხინჩიყაშვილი გორში ჩამოვიდა. აქ მას მოეხდა სართავი დაზგების დამონტაჟებაში მონაწილეობის მიღება.

მალე დაამთავრეს ფაბრიკის გამართვა, ვახტანგ ხინჩიყაშვილი სართავი საამქროს უფროსად დანიშნეს და პირველი გორული ნართის გამოშვების საქმე ჩაანდობეს.

მოუწინავე საამქროს ხელმძღვანელი ვახტანგ ხინჩიყაშვილი და ამაყობს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით მისი კოლექტივი.

... სადაცაა ახალი ცვლა უნდა შეუდგეს მეშობას. სართავ დაზგასთან კი ჯერ ისევ დინჯად დგას ახალგაზრდა გოგონა ვენერა გოცირიძე. არ ჩქარობს, ხელს უწყობს მანქანას და თან ანგარიშობს:—ჯერ მხოლოდ გეგმის 120 პროცენტი მაქვს შესრულებული, აუცილებლად უნდა მივაღწიო ღირსეული დაეალების 140 პროცენტს!

საამურად ესმის ვენერა გოცირიძეს თავისი მანქანის მონოტონური ტაკა-ტაკა. მასზეზე ნართის ხვეულები იზრდება...

საამჩრაში მანქანათა ხმაური მინელდა. ეს პირველი ცვლის მეშაობის დამთავრებისა და მეორე ცვლის სამუშაოდ გამოსვლის ნიშანია.

ოსტატის თანაშემწე გურასმე ბეგლარიშვილი აკადემს დღევანდელი მუშაობის შედეგებს.

— დღეს ცვლის დაეალება 30 პროცენტის გადაჭარბებით გეკეთებინა. არ კმარა, ამხანაგებო! მეტი ნარჩი უსაქონლებელი. ან კმარა, ამხანაგებო! მეტი ნართი უსაქონლებით ჩვენს საფეიქრო ფაბრიკებს, მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას მოითხოვს ჩვენგან სამშობლო!

ოსტატის თანაშემწემ ქებით მოიხსენია მშობელის ეთერი მელაძის მეშაობა. მელაძე ახალმოსულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღიური დაეალება ერთიორად შეასრულა—30 კილოგრამის ნაცვლად 61 კილოგრამი ნართი მოგვცა, ნართიც მთლიანად პირველი ხარისხისაა.

წელიწადი გაეიდა მას შემდეგ, რაც სოფელ ზედდელეთიდან გორში ჩამოვიდა კოლექტიურ გოგონა ეგნენია სამადაოაშვილი და განსაცდები დაწერა— მინდა გავხდე ფეიქარი, გთხოვთ მიმიღოთო გორის ბამბეულის საქსოვ კომბინატში სამუშაოდ.

სამადაოაშვილი მიიღეს, თბილისში ასწავლეს ქსოველობაც და ახლა გორში მრთველად მუშაობს, ყველაზეღიერ საწარმოო დაეალებებს სისტემატურად სამჩაი გადაჭარბებით ასრულებს. ასეთი მოწინავე ადამიანების რიცხი გორის ბამბეულის კომბინატში ურყევლდღიურად იზრდება.

ქ.წინსკვილა ყოფილა კოლმეურნე გოგონამ მანი კობლიანიძემ ბევრი შრომა გასწია იმისათვის, რომ მოწინავე გამხდარიყო. ახლა ის გეგმას ოდენ გადაჭარბებით ასრულებს.

ასევე გაიზრდება და წარმოების საამაყო ადამიანები გახდნენ, მრთველი ნატალია გვარამაშვილი, მეფთილეები ელენე ეანიშვილი, მერი მაზიაშვილი და სხვანი.

მოსამზადებელ საამქროში ოსტატის თანაშემწედ მუშაობს ტინისხიდელი ქობალი სერგი ყაზარაშვილი. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ მუშაეშნი იყო და იმ ადგილს, სადაც ახლა კომბინატის კორპუსებია აღმართული, საჭინელი გამოსაყავდა სამოეეებლად. ახლა სერგი ყაზარაშვილი გორელ ფეიქართა საამაყო პიროვნებაა. მას ჩამაებული აქვს 28 საბუჩი დანადგარი, რომელთაც სრული დატვირთვითა და წარმატებით ამუშავებს.

გორელი მრომელები ამაყობენ მშენებელთა თავანთი კადრებით. ლიაჭვის ხიდს გაღმა რომ ახალი ქალაქი გაშენებული, ტინისხიდის ყოფილ ჭალას რომ ევენებრთელა საქარხნო კორპუსები ამშენებენ, გამოდმა ქალაშიც რომ შენებიკი ახალი შენობები აგებული, ყოველივე ეს გორელ მშენებელთა მარჯვენის ნამუშევარია.

საეკეთესო მშენებლები არიან კომკავშირელი დურგალი ვლადიმერ ისმაილოვი, რომელიც კარ-ფანჯრის ეკეთების შესანიშნავ ოსტატად ითვლება და გეგმას 145-150 პროცენტით ასრულებს. დურგალთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მას ღირსეული „მეტოქეც“ თავეება ქარხნის დურგალი ვლადიმერ ფუნაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა წარმატებით ეკლიბება სხვა ქვესმლელებს და არავის უთმობს პრიეელობას.

გორში სახელი გაითქვა ირინე ჩიქოანიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა მშენებელ ქალთა ბრიგადამ, რომელიც სამენი ქვის დამზადებაზე მუშაობს და გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

მშენებლობა ამ საეკეთესო წარმომადგენლებს თავანიო წელიწადი შეაქვეთ გორის ბამბეულის კომბინატის წარმატებით მშენებლობის საქმეში.

შ. ჩუგინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

წარმოების ავტომატიზაცია

ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში საბჭოთა მანქანათმშენებლებმა შექმნეს უმაღლესი კლასის ავტომატური საქსოვი მანქანები.

გორის ბამბეულის კომბინატში მხოლოდ ასეთი ავტომატური საქსოვი დაზგებია გამართული. ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ მანქანებსა ისეთ პატს, როგორიც გორულ ფეიქრებს ეჭნებათ, რამდენიმე ათასი ცალიფიციური ფეიქრის მომსახურება დასჭირდებოდა.

საქსოვ მანქანათა ავტომატიზაციის წყალობით მეშათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. საბრძანოა აღინიშნოს, რომ 100 საქსოვ მანქანას მოეშენ მეოთხეულენი და სრული მომსახურების გასაწევად ყოველ ცვლაში მხოლოდ 17 ფეიქარი დასჭირდება.

საქართველოს ფიზიოლოგთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები

საუბარი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ ა. ნ. ნათიშვილთან

ერთი წლის წინათ, 1950 წლის 28 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" მეცნიერებათა აკადემიისა და სსრკ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივმა სესიამ, რომელიც მეცნიერთა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით გაიხსნა, ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭა ი. პ. პავლოვის მოძღვრების პრობლემებს, უდიდესი ენთუზიაზმით აღფრთოვანებული მეცნიერების ნაშრომები ჩვენი საბრძოლო ფრონტის ფიზიოლოგიის განვითარებაში.

სესიის მუშაობისადმი მიძღვნილი იყო საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებით ყურადღება. ამით ბისაც ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებურება სტალინური ეპოქისა, რომელშაც შექმნა უმაღლესთოდ ხელსაყრელი პირობები მეცნიერების ზღვისათვის. მთელ თავისთ მიღწევებს ჩვენი ქვეყნის მეცნიერები უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, მეცნიერისადმი დიდი კორიფეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მუდმივ მზრუნველობას.

ორი ათეულმეის სესიის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ფართო პოპულარიზაცია გაუწია ი. პ. პავლოვის შემოქმედებითის მემკვიდრეობას. სესიამ გამოაკლინა, პავლოვის განსაკუთრებით მოძღვრების ბაზაზე, კანონზომიერებანი, რომლებსაც ექვემდებარება ადამიანისა და ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედება, და დაგვანახვა ამ დარგში შემდეგის სწორი გზები.

გენიალურმა მეცნიერმა ივანე პეტრეს-ძე პავლოვმა ლაზეთი ჩასცა რუსული დიალექტურ მიმდინარეობებს ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიის დარგში, მან ცხადყო გარემო ბუნებასთან ერთიანობაში განხილულ ორგანიზმზე ჩვენი შეხედულებების განვითარების ახალი უმაღლესი ეტაპი. ექსპერიმენტის მოძღვრების საფუძველზე პავლოვმა შექმნა ახალი ფიზიოლოგიური მოძღვრება, როგორც მოძღვრება ცხოველის ორგანიზმის ფუნქციონალური მოქმედების შესახებ, ცოცხალი მატერიის გაღიზიანების პრინციპული ფუნქციებით დაფუძნებული და ორგანიზმის სიცოცხლის უმაღლესი მოქმედებით, მისი ფსიქიკური მოქმედებით ჩათვლით. მთელ თავის ღრმა ბუნებამეცნიერულ კვლევაში ი. პ. პავლოვ მატერიალისტი იყო თავისი დიალექტიკური მიზანდასახულობით, და ამან უდიდესი გავლენა მოახდინა ბიოლოგიურ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ დისციპლინათა ძირითად პრობლემებზე.

ამრიგად ერთად, სესიამ გამოაკლინა, რომ ავადმყოფის ი. პ. პავლოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დამუშავება არასაკმაოდ წარმოებდა და ზოგჯერ მეთოდოლოგიური ყალბი გზით, პავლოვის ზასწავლების გვერდის ავლით მიმდინარეობდა. სესიამ საფუძვლიანად გააკრიტიკა ის მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ პავლოვის მძღვრების რევიზია მოეხდინათ. ასეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნიან ავადმიკოსები ლ. ორბელი და ი. ბერიტაშვილი, პროფესორები პ. ანოხინი, პ. კუპალოვი და სხვები.

სესიამ საგრძნო ცნო მედიცინის მეცნიერებაში პავლოვის მოძღვრების პრაქტიკულად დაბრკვა, თეორიისა და პრაქტიკის უფრო მჭიდროდ შეკავშირება. ამ მიმართულებით სესიამ მოგვცა მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი, კერძოდ ფარმაკოლოგიის, პათოლოგიის, ბიოქიმიის, ჰიგიენის, კურორტოლოგიის, ფიზიკური კულტურისა და სხვა დისციპლინათა დარგში.

სესიამ ახალი მკაფიო ძალით დაადასტურა სისწორე ამხანაგ სტალინის სიტყვებისა: „ეფრავთარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ ახდის ბზარის ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება".

საქართველოს მეცნიერები, ჩვენი რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად, დიდი ყურადღებით აღეკვებდნენ თავ-ყურს სესიის მუშაობას, სესიაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი მეცნიერები. როგორც ცნობილია, ფიზიოლოგიური გარე მეცნიერების საკრთველოში მთავისი დიდი ისტორია, თავისი გარკვეული მიღწევები აქვს. მაგრამ სესიამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებები საქართველოს ფიზიოლოგთა, პირველ რიგში აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მუშაობაში. აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის შეცდომათა არსმა სწორი შეფასება მიიღო სესიაზე და პრესაში. ამ შეცდომათა კრიტიკის სისწორე ადიარებენ თვით ი. ბერიტაშვილის მიერ.

სესიის შემდეგ განვლილი წელიწადი ფრიად ნაყოფიერი იყო საქართველოს ფიზიოლოგებისათვის. შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა, რის მეოზებითაც ეს მუშაობა ახლა მთლიანად წარმართულია პავლოვის მოძღვრების აქტუალური პრობლემების განხორციელება, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. ინსტიტუტის მუშაობა ამჟამად წარმოთულია უმთავრესი ნერვული მოქმედების პრობლემათა შესწავლისაკენ აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრების მიხედვით. კვლევა იწარმოება უმთავრესად პირობითი რეფლექსების პავლოვის მეთოდით. ამავე დროს საჭიროა ბაზალინთან გაკავშირება ის მეცნიერული მძღვრების რევიზია მოეხდინათ. ასეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნიან აკადემიკოსები ლ. ორბელი და ი. ბერიტაშვილი, პროფესორები პ. ანოხინი, პ. კუპალოვი და სხვები.

სესიამ საგრძნო ცნო მედიცინის მეცნიერებაში პავლოვის მოძღვრების პრაქტიკულად დანერგვა, თეორიისა და პრაქტიკის უფრო მჭიდროდ შეკავშირება. ამ მიმართულებით სესიამ მოგვცა მთელი რიგი ფასეული მითითებანი, კერძოდ ფარმაკოლოგიის, პათოლოგიის, ბიოქიმიის, ჰიგიენის, კურორტოლოგიის, ფიზიკური კულტურისა და სხვა დისციპლინათა დარგში.

